ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200233734**
თარიღი: **23/01/2020**
პინი: **7923**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 17 იანვრის #60-01200173611 წერილი და AR1728720 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე გრიგოლ ზარნაძის მომართვის საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,ნამის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი #84 ს.კ. #01.12.01.003.134) (ს-1) III კლასის ობიექტის/საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული 3 ძირი ფოთლოვანი ხე (ხილ-კენკროვანი მცენარის გარდა) და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 5 ძირი მწვანე ნარგავი (4 ძირი ჰიმალაის კედარი, 1 ძირი თათრული ნეკერჩხალი) სრულად ითვისებს კ3-0.1 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (119.7 კვ. მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **მაგრამ, სამსახურმა, რომ შეითანხმოს გამწვანების პროექტი, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-40 მუხლის მე-3[1] პუნქტის და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ნ[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი საინფორმაციო დაფის სრულყოფილი ესკიზი, სადაც უნდა დაიტანოს გამწვანების პროექტის დასრულების კონკრეტული თარიღი (გამწვანების პროექტი უნდა დასრულდეს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე)**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური გამწვანების პროექტს შეითანხმებს მითითებული ხარვეზის გამოსწორების შემდეგ.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი